ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის სატენდერო კომისიის სხდომის

ოქმი N26

დაბა ხულო

28 თებერვალი 2018 წ.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე ლაშა ბოლქვაძე;

სხდომას ესწრებოდნენ: კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ზაზა აბულაძე;

კომისიის წევრები: ელდარ ბოლქვაძე, ნადიმ ვასაძე და ირაკლი ხაჯიშვილი;

კომისიის აპარატის წევრები: დავით ქონიაძე და გია დავითაძე;

სხდომას არ ესწრებოდა კომისიის წევრი გურამ დეკანაძე;

დღის წესრიგი: დაბა ხულოში საბავშვო ატრაქციონების მოწყობის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სატენდერო განცხადებისა და სატენდერო პირობების დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელი: ე. ბოლქვაძე

მომხსენებელმა წარმოადგინა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ხულოს მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით და შესყიდვების წლიური გეგმით გათვალისწინებულია **დაბა ხულოში საბავშვო ატრაქციონების მოწყობის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვა,** ასევე სატენდერო კომისიის სხდომაზე წარმოდგენილია მოსაწოდებელი მომსახურების ტექნიკური დოკუმენტაცია.

კომისიას წარედგინა სატენდერო პირობების პროექტი, რომელსაც გაეცნო სხდომაზე დამსწრე ყველა წევრი და განხილვის შედეგად დადგენილი იქნა შემდეგი სატენდერო პირობები:

- **შესყიდვის სავარაუდო ღირებულება: 875 (რვაას სამოცდათხუთმეტი)** ლარი დღგ-ს გარეშე;
- **სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტ(ებ)ი:** არ მოითხოვება;
- **ინფორმაცია პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ:** მოითხოვება, პრეტენდენტს 2015 წლის 01 იანვრიდან ტენდერის გამოცხადებამდე პერიოდში შესრულებული უნდა ქონდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების გამოცდილება საერთო ღირებულებით არანაკლებ **2000 (ორიათასი)** ლარის ოდენობით.

პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხო დოკუმენტაციის შედგენის შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები (ხელშეკრულებები, მიღება-ჩაბარების აქტები), (ეს მოთხოვნა არ ვრცელდება იმ პრეტენდენტებზე, რომლებსაც ჩვენს შემსყიდველ ორგანიზაციაში აქვთ ანალოგიურ მომსახურება გაწეული).

- **ინფორმაცია პრეტენდენტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ:** არ მოითხოვება;
- **ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია** - არ მოითხოვება;
- **ინფორმაცია პრეტენდენტის პერსონალის გამოცდილების შესახებ:** არ მოითხოვება;
- **ფასის 20 %-ით ან მეტით კლების შემთხვევაში ფასწარმოქმნის ადეკვატურობა:** არ მოითხოვება;
- **წინასწარი ანგარიშსწორება:** არ გამოიყენება.

- სამუშაოს შესრულებისა და ანგარიშსწორების ეტაპები:

-საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღე.

- ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება შესრულებული მომსახურების შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

დაადგინეს:

1) დამტკიცდეს **დაბა ხულოში საბავშვო ატრაქციონების მოწყობის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების** სატენდერო განცხადება და სატენდერო პირობები;

2) დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს არაუგვიანეს 2018 წლის 28 თებერვლისა, ელექტრონული ტენდერის გამოცხადება წარმოდგენილი სატენდერო პირობების შესაბამისად.

კომისიის თავმჯდომარე ლ. ბოლქვაძე

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ზ. აბულაძე

წევრები: ნ. ვასაძე

ე. ბოლქვაძე

ი. ხაჯიშვილი

კომისიის აპარატის წევრები: დ. ქონიაძე

გ. დავითაძე